


Nº VI

中原書局  
1894年

# 中原圖書館



1894

შ ი ნ ა რ ს ი

ულრნალის „ჯეჭილი“ - სა

I	დედის ლოცვა, ლექსი — დუტუ მეგრელისა . . . . .	3
II	კარელაანთ კოშკის ფერია — გადმოლებული ფრანგულიდან ან თწ-სა . . . . .	5
III	ვუძღვნი მოსწავლეებს, ლექსი — ნინოწმინდელისა . . . . .	20
IV	ამ ქვეყნიერი მწუხარება — კარმენ სილვასი, ნათ. — დიკუ- რელისა . . . . .	22
V	ფალავნები, მოთხრობა — თ. <u>რაზიკაშვილისა</u> . . . . .	29
VI	მელია და წერია — ეზ უპის იგავი, ნათ. მ. ლელაშვილისა . . . . .	37
VII	ჩვენი ბალი, — თ. ასათაძისა . . . . .	40
VIII	რძიანი მცენარეები, — ილიგასი . . . . .	45
IX	ქრისტე ყრმის დევნა, — გ. წერეტუშელისა . . . . .	49
X	გულწრფელი პასუხი — ნ. სუციშვილისა . . . . .	53
XI	ინდოეთის ძალლები, იგავი ლესინგისა, — ად. ბარნა- კისა . . . . .	55
XII	ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები, ზმა, აკროს- ტიბი, შარადა და ჩებუსი, . . . . .	57
XIII	განცხადებები.	



# „ჯ ე ჯ ი ლ ი“

ს ი ჭ ა ბ ა შ ვ ი ლ ი 6 0 6 0 6 0 6 0

ე უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, მწვანე ჯეჯოლო,  
დაპურდი, გახდი ყანაო!...

„ ღ „

№ VI

ჰელიზადი ევერთე შემა

ტ ვ ი ლ ი ს ი

სტამბა ვ. დ. როცხნიანცა || თემ. მ. დ. როცხნიანცა, გილ. კ. ა. № 41

1894.



10 39 0 X 0 X

Дозволено цензурою Тифлисъ, 29 Октября 1894 года.

---

დ ე დ ი ს ლ ო ც ვ ა.



ინავს ყველას... მხოლოთ ერთ ქალს  
ჯერ არ ძინავს შავით მოსილს;  
დაჩოქილი დგას ხატის წინ  
და ავედრებს შორს წასულ შვილს.

„ღმერთო, ღმერთო“, ლოცულობს ის:  
„საწყალ იპოლს ტპატრონე;“  
რომ ისწავლოს, განვითარდეს  
მიეც ნიჭი და ძალა-ლონე!

„დედის ერთა, ერთათ ერთი  
ნუგეშია და იმედი,  
მას შევწირე სრულათ ჩემი  
სიყმაწვილე, ჩემი ბედი.

„მით ვცოცხლობდი, ვსულდგმულობდი,  
სულს და გულს მას ვაყოლებდი,  
არ მეგონა, თუ ერთ წამსაც  
უიმისოთ ვიცოცხლებდი.

„მაგრამ, აი, მოვიდა დრო,  
ჩემთვის მწარე და თან ტკბილი.

ରନ୍ଧା ଲୁନ୍ଦା ମନ୍ତ୍ରମଧ୍ୟାଧଳୀ  
ସାମଶାଖାଧଳୀର ଦେବାମ ଶ୍ଵିଲୀ.

„ଏ ଗ୍ରୂଣିଧାନ ମନ୍ତ୍ରଗଲୋକେ  
ସରାମ-ନାଲ୍ମାଲୀର ଉଠେଦିନ୍ଦର  
ଏ ଗୁରୁତ୍ୱବନ୍ଦୀ, ରନ୍ଧା ଲୁନ୍ଦାଧଳୀ  
ମାନ ମାମ୍ଭାଲୀର ସାମ୍ବାକଣ୍ଠର!

„ଲମ୍ବରତାନ, ଲମ୍ବରତାନ, ପିପ୍ରଦର୍ଶନ,  
ଗାମିତ୍ୟାରନ୍ଦେ ସାମ୍ବାକଣ୍ଠ,  
ରନ୍ଧା ମିତ ଜରତାତ ଗାମିଯନ୍ଦନ୍ତ  
ମେ ଏ ମନ୍ତ୍ରାଲୀ ସାକ୍ଷାତତତ୍ତ୍ଵାଲୀ.

„ରନ୍ଧା ଲୁନ୍ଦାର, ଗମିରତା-ଗମିର,  
ଲାଲିର ଶ୍ଵିଲୀ ମାମ୍ଭାଲୀର,  
ଲୁନ୍ଦା ମହାଗ୍ରହାଲୀର ରିକ୍ଷବା ନୃତ୍ୟ  
ଏ ନୃତ୍ୟଶି ହାଗରନ୍ତୁଲୀରା!..“

ଏହି ଲମ୍ବରାସା ମନ୍ତ୍ରାଲୀ ଲାମ୍ବେ  
ପ୍ରକାଶମଲୀର ଯୁକ୍ତିବେଳୀର ପିପ୍ରଦର୍ଶନ...  
ଲମ୍ବରତାନ, ଲମ୍ବରତାନ, ଶ୍ଵେତ୍ସମିନ୍ଦେ  
ପାରତତ୍ତ୍ଵାଲୀ ଦେବାମ ଏ ପିପ୍ରଦର୍ଶନ!

ଜୁରୁ ପିପ୍ରାଲୀ

1894 ଫି.



## ქარელაანთ კოშკის ფერია.



არო და სანდრო მალიან კაი ემაწვილები იუვენი. მათი მამა სამსახურის კაცი იუ, დღიდი ჯამაგირი ჰქონდა და ოჯახით თვილისში ცხოვრებდა.

დედა თითონ ზდიდა და ასწავლიდა შეილებს. მარო რვა წლისა იუ, მალხაზი და გულწრფელი. სანდრო იქნებოდა შვიდი წლისა, ეს ბავშვიც გულ-კეთილი და ღეღ-მამის მორჩილი იუ. სახლში ამათ ხშირათ უამბობდენ ზღაპრებს, მეტადორე გადიას უევარდა ჭინკებზე და ფერიებზე მოთხოვბა. ემაწვილებს ძრიელ მოწონდათ ეს ამბები და წუდენ, რომ ვერსად ვერ ხედავ-დენ ვერც ჭინკებს და ვერც ფერიებს. მგონი, არც ერთ თავიანთ სათამაშოებს არ დაუჭირდენ იმათ, ვინც ამათ ფერიას უჩვენებდა.

ამ ემაწვილებს ჰქავდათ ერთი ბიძა, რომელიც ცხოვრებდა ლიახვების ხეობაში და ხშირათ შატიფობდა ამათ თავის სოფელში; მაგრამ არცერთხელ არ მოუხდათ წასვლა, თუმცა თითონ ბავშები კი მალიან ნატრობდენ სოფლის ნახვას.

ერთხელ ეველანი რომ სადილზე ისხდენ მოუვიდათ



წერილი, ბიძია იწვევდა საზაფხულოთ ამათ თავის სამართლისში.

ემაწვილებმა სიხარულით დასცეს კიუთა, სულ ხტო-დენ და ცეკვავდენ. ღეღ-მამამ უარი აღარ შეუთვალი, თი-თონაც, დიდი სანი იუო, ნათესავები არ ენახათ და შეუ-დგენ გზის სამზადისს.

სუმრობა, კი არ იუო, უნდა შორს წასულიუვენ, მდი-ნარე გადევლოთ და ვინ იცის, რამდენი კოშკები და ნა-ნგრევები ენახათ. მერე კარელანთ ნანგრევები გათქმული იუო. ემაწვილები სულ იმას ოცნებობდენ, რომ იქ ნახა-ვდენ ჭინკებს, ფერიებს და სხვა კუდიანებს.

— თუ სადმე ენახავთ ჭინკებს და ფერიებს — ეს უთუ-ოთ ბიძიას კოშკებმი, ჩვენვან ისე შორს არის და თუ არიან სადმე — იქ იქნებიან მიმალულნი, ამბობდა მარო.

— დავიჯერო, რომ ფერიებს და ჭინკებს ენახევთ? — წამოიძახა სანდრომ.

ემაწვილების აღტაცებას ბოლო არა ჰქონდა.

წასვლის სახატრელი საათიც მალე დადგა. რკინის გზამ კაიტაცა ჩვენი პატარა მგზავრები, თვალის დახამხა-მებაზე იცვლებოდა გარშემო არე-მარე და ემაწვილები ვერც კი ასწრებდენ ბუნებით დატკბობას. მინდვრის ევა-ვილები ფერიადი სალიჩასავით თვალწინ გაურბენდა ამათ.

რკინის გზის სადგურზე დაუხვდათ ერთი ურმისოდე-ნა ტარანტასი, რომელმაც დიდ ნჯდევას შემდეგ გა-ჭირვებით მიაწია ბიძის სოფლამდის.

ბიძია და ბიძის ცოლი მხიარულათ დაუხვდენ ამათ, მისალმება დიდი ჰქონდათ ერთმანეთთან. ბიძიას ციხე-და-რბაზი ერთი უზარ-მაზარი მველებური საბატონო სახლი

იუო ოთხ-კუთხივ კოშკებ-მიდგმული. ჩანგრეული სარისე-  
ბი და ჩაბეჭლებული კიბები ბლომათ ჰქონდა. კოშკე-  
ბი და სხვა მრავალ ნანგრევებში უტყობოდა, არავინ იდგა  
და ამ სამალავებში შეიძლებოდა მალულობიას და თვალ-  
ხუჭობიას თამაშობა.

ემაწვილების გასართობათ ბიძიას მოეწვია მეზობლე-  
ბის ემაწვილები, რაღაც თითონ შვილები არა ჰქონდა.  
იქვე, სახლის წინ, იუო უშველებელი ბაღი. კაკლის სეები  
აიგნების და სახლის წინ მიდამოს კარავსავით გადაჭია-  
როდა. მდინარე, რომელიც სახლს წინ ჩაუდიოდა მწვანე-  
ში არც კი მოჩანდა, მისი შეუილი კი მოისმოდა.

ემაწვილები, რასაკვირველია, აღარც სწავლობდენ,  
აღარც რამეც ზრუნავდენ. მთელი დღე დარბოდენ, დასე-  
ირნიბდენ და უცქერდენ, დიღები თევზებს როგორ იშე-  
რდენ.

ერთხელ მარო და სანდოო შევიდენ ცარიელ თთა-  
ხები, ათვალიერებდენ მიურუებულ კუნჭულებს და მია-  
დგინ სახლის ერთ კუთხის კოშკს. ვიწრო, ძველი კიბე  
ადიოდა მაღლა. ემაწვილები ავიდენ, შეაღეს კარი და ნა-  
ხეს, რომ კოშკის ოთახი სავსე იუო სხვა-და-სხვა ძველი  
ავეჯეულობით: გატეჩილი სავარმელი, მუცელ-გამოვდებუ-  
ლი კამოდი, ძველებური ნახატები, საღაც ეარამანიანის დე-  
ვები წოცდენ ერთი სმლის დაკვრით მთელ კარს. ამ ნა-  
ხატებმა შეაშინა ჩატარა სანდოო, მეტათ შეაშინა ერთმა  
ნახატმა, რომელზედაც გძელ თმებიანი აღები, დიდონი  
თვალებით თითქო ემაწვილების მოძრაობას ათვალიერე-  
ბდა.

სანდოო მიეკრა დას და კანქალით აქეთ-იქით იცემ-

რებოდა. უეცრათ მოქსმათ რაღაც უცნაური ხმაურობა, ვიღასიც კვერცხა-ქმენა.

აცახცახდენ ორნივე.

— წამო, ჩქარა აქედან, მეშინია, თქვა აკან კალებული ხმით სანდორომ.

— როგორ თუ გეშინია? რა ბიჭი ეოფილხარ და! უთხრა მარომ დაცინვით. — რას ამბობ, ზირიქით უნდა მივიდეთ ახლოს და ვნახოთ, რა ამბავია?

მარო წელში გასწორდა და ზირდაპირ იქით მხარეს გასწია, საიდანაც მოისმოდა ქმენა და ოხვრა. მეტი რა გზა იყო, სანდოროც უკან გაჭეუა. მოუარეს კოშკს მეორე მხრიდან, მივიდენ ბნელი კიბით იმ კარებთან, საიდანაც გარდა კვერცხისა, მოისმოდა კიდევ მწუხარე სიძღვრა.

ემაწვილები ერთს წამს შეღებნ: სანდორო სულ ცახცა-ხებდა, მაროსაც გული საშინლათ უბერდა.

— უთურთ ეს ფერია იქნება, უთხრა მარომ ჩუმათ თვეის მმას.

ემაწვილები შიშით ადგილიდან არ იძროდენ. ხმაუ-რობა ერთწამს შეწედა.

ბოლოს მარო, ცოტა არ იყოს, გამხნევდა, დაინახა, რომ კარებში ჯუჯრუტანა არის, აცოცდა როგორდაც და ერთი თვალით გაიხედა.

კოშკის რგვალ ოთახში იჯდა მოხუცებული დედაგა-ცი და წინ რგვალი ქვა ედგა. ერთი ხელით ის ატრია-ლებდა რაღაც ბორბალს და მეორეთი -- თითის ტარზე ახევვდა მაფს. მარომ ბოლოს შეიტეო, რომ ეს კარა ეოფილიერ.

მოხუცებული შავებში იყო გახვეული და თეთრი თმე-

ბი შიგ თვალებში ჩამოჩენდა. ამას ასი წლის ბებრის ქედედულობა ჰქონდა.

მარო ჯერ თითონ დაცექერდა ამ მოჩვენებას, მერე აიხმო მმა, აიყვანა ისიც კიბეზე. სანდომ შიშით მლივს გაბედა ქედედვა. მოხუცებული თითქოს არ ინძრეოდა და ემაწვილს მოეხვენა, რომ ესეც სურათია და ჰქიოხა დას:

-- განა. ცოცხალი ვინმეა?

— ცოცხალია, უთხრა დამ დაბეჭითებით. — ეს მოხუცებული უთუოთ ამ კოშკის ფერია იქნება!

ამ ღროს მოხუცებულმა მოიხედა კარებისაკენ, შეძინებულმა ემაწვილებმა მაძინვე მოჰკურცხლეს; მაგრამ ოთახიდან მაინც ესმოდათ ჯარას ტრიალი და გულგასაწვრილებელი მწუხარე ზუზუნი.

როდესაც ემაწვილები ჩავიდენ მარს და შედგენ სულის მოსამრუნებლათ სანდომ უთხრა დას:

— რას მოვიფიქრებდით, რომ ფერიას აქა ვნახავდით! ნეტავი ვიცოდე, ხვენი სიკეთე ენდომება თუ არა?

— მე შეონი, რომ ჩვენი სიკეთე ენდომება, რადგან ბიძია ჩვენი ძრიელ კეთილი კაცია და ავსულს იმბათონ რა სელი აქვს. მოვი, ვთხოვთ რამე საჩუქარი.

— მე ვერ გავუბედდა ლაპარაკს! წაპიობასა სანდომ

— განა არ შეიძლება წერილით ვთხოვთ რამე?

— მართლა, ებ კაი ფიქრია. წამო, მართვ, დავწეროთ წერილი!. ეს არი, ვინ მიუტანს!

— კლიტემი ჩავდვათ და იპოვის.

— მე იქ, ზემოთ ვეღარ ავალ.

— არაუმავს რა, ერთათ ავიდეთ. გარეთი კარი ლია გავუშვათ, რომ ადვილათ გამოვიქცეთ, თუ საჭირო იუოს.



ოქვეს და აასრულეს კიდეც. ემაწვილები შეგიდენ ვიანთ საწოლ თთახში და დააბირეს ფერიასთან წერილის მიწერა.

— ო უნდა თხოვო, ნეტავ?

— მე თითონ არ ვიცი! ვინ იცის, გამოიმეტებს საჩუქარს რასმე თუ არა. ნუ მიძღი, როდესაც გავათავებ წერას, გიჩვენებ და შენც, რაც გინდა, ის დაწერე:

აი, ო დაწერა მარომ:

მოწყალეო ფერია!

თუ კეთილი ფერია ბძანდები, გთხოვ, დამასაჩუქრო. ო საჩუქარს მოგთხოვ, ჯერ მე თითონ არ ვიცი, მოწერე ჰასუსი. თუ ამისრულებ, რასაც გთხოვ, მე ეოველ-თვის მეუვარები მალიან.

შენი ჟაფარა მეგობარი მართ.

— დაიჭირე, აი, ჩემი წერილი, უთხრა მარომ მმას.

სანდოომ დიდი ეურადღებით გადიგითხა წერილი და მერე ვაი-ვაგლახით და ათასი შეცომებით დაწერა შემ-დეგი:

მოწყალეო ფერია!

მეც იმასა გთხოვ, რასაც ჩემი და, რომ საჩუქარი რა-მე მიბომო. ამ წერილს კარების კლიტემი ჩავდებ. მე მა-ლიან შეგიუვარებ, რადგან ვიცი, რომ კეთილი ფერია ბძა-ნდები.

შენი ჟაფარა მეგობარი სანდო.

მარომ თრივე წერილი ჩადვა ჰაკეტში, ზედ დაწერა:

კარელაანთ კოშკის ფერიას და ფეხს აგრძელით წავიდა კოშკისკენ. სანდოო კრძალვით და შიშით შორი-ახლო მიღვდა. კოშკში დიდი სიჩუმე იუო. ის საშიში ნახატები ადრინდელივით დაცქეროდენ და მეტათ უფთხობდენ სანდოოს შიშის ანგელოზებს.

მარომ თავს მალა დაატანა და გაბეჭდით ავიდა ბნელი კიბირ კოშკის ზემო ოთახში, საცა ფერია ეგულებოდა. შეისედა ჯუჯრუტანიდან, იქ არავინ დაუხვდა. მერე კანკალით ხადვა კლიტეში წერილი და მაშინვე ორივემ უკან გამოსწიეს.

ემაწვილე ი ისევ ჩამოვიდენ კოშკის იმ ოთახში, საცა ნახატები იუო და ბევრი ბარგი ეწეო და ასელა იქ კუთხეში მიმალული მოქმედენათ ის ფერია. თუმცა მაროს აქამდის თავი უობალათ ეჭირა, შიში მოერია, ისე მოჰკურცხლა, რომ კიბე სულ სტომით ჩამო. რბინა და თან მოათრევდა საბრალო სანდოოსაც.

გავიდა ერთი საათი. სადილობა იუო. ემაწვილები მიძისაგან ისევ ისე თრთოდენ, დედ-მამამ დაუწეუს გამოკითხვა. ბიძია კი კვლავინდელზე უფრო მხიარულათ იუო.

მარომ არ იცოდა არც ტეუილის თქმა და არც დამალვა, მაშინვე უამბო, კოშკში ამათ როგორ იპოვეს ფერია და წერილის მიწერა და საჩუქრის გამოთხოვა როგორ მოუვიდათ ფიქრში.

უველა მოჰკურა ჩიცილის; ემაწვილები კი არ იცინოდენ და დარწმუნებული იუგენ, რომ ნამდვილათ ფერია ენახათ. დასარწმუნებლათ სანდოომ თქვა:

-- სამზარეულოშიაც მითხოეს, რომ აქეთ მხარეს არიანო ფერიები. სანდოოს ჩვეულება ჭრონდა, სშირათ სა-

მზარეულობი შერბოდა: არ ვიცით, მზარეულ ღერაცაცის კატარინის უცნაური ამბების უურისგვება უჟეპრდა, თუ უფრო სალუკმე რისამე ძოვნა და ბირის გაცმაცუნება. შატარა ხანს შემდეგ, ესენი ჯერ კიდევ სადილზე ისხდენ, რომ კატარინე უცბათ მეხსიერობა დაცათ ამათ.

— ბატონო, უთხრა მან ბიძიას, აი, სამზარეულოს ბუხრიდან რა ჩამოვარდა!

და უჩვენა გეებერთელა კონკერტი წითელი ლაქით დაბეჭდილი.

— დახეთ, წერილი უოფილა!

და ბიძიამ წასაკითხათ სათვალები გაიკეთა.

— უმაწვილებო, ეს წერილი თქვენთან უოფილა, თქვა ბიძიამ და მიაწოდა მაროს.

მარომ გაოცებით გამოართვა.

— იქნება, ფერია ჩასუსს კამლევდეთ, --უთხრა სიცილით ბიძიამ.

მართლა აგრე იუო, ფერია ჰწერდა მაროს და სანდოს.

მარო დიდხანს ატრიბუებდა წერილს ხელში, ვერა ბედავდა გახსნას. სანდომ შეამჩნია, რომ წერილი თუმცა ბუხრიდან ჩამოვარდნილიყო - სუფთა იუო და უთუოთ ფერიას დაწერილი იქნებოდა.

მარომ გახსნა წერილი და შემდეგი წაიკითხა:

„უმაწვილებო, მინდა თხოვნა აგისრულოთ და სათითაოთ დაგასახუქოთ. მაგრამ საჩუქარი კი ლირსეული უნდა მთხოვოთ. კარგა მოიფიქრეთ. როდესაც ამოარჩევო, დაწერეთ ქაღალდზე და თქვენ საწოლთან დადევიო დაწო-

ლის წინეთ. ჩემ პასუხს მალე შეიტყობოთ. არავის არ გა-  
უშძილოთ, რა საჩუქრებსაც მოჰოვთ“.

კარელაბანთ კოშკის ფერია.

უმაწვილები გაოცდენ, ასე მალე პასუხი რომ მიიღეს,  
მალიან უხარიდათ, მარტო ის აწუხებდათ — ვაი თუ შესა-  
ფერი საჩუქარი ვერ მოვთხოვოთო ფერიას.

— ჩემ მაგივრათ რომ ეოფილიებვ რასა თხოვდი, დე-  
დიღო! — ჭკითხავდა სანდოო თავის დედას.

— რა გიცი, უთხრა დედამ სიცილით, — კარგ სათა-  
მაშოს თუ მოვთხოვდი.

— არა, დედილო, ბიძამ ბლობათ გვაჩუქა სათამა-  
შოები.

— მაშ, შენ რომ მალიან გინდოდა ამ ჭამთარის სა-  
ვერდის ტანისამოსი?

— ეგ რა ფერის შესაფერი საჩუქარი იქნება.

— მაშ მოიფიქრე, დრო ბლობათ გაქვს.

სანდოო ჭრისადა, რომ ვერ მოეგონებინა. მარო კი  
სულ ღრმა ფიქრში იქო.

სადილს შეძლებ უკელანი ჩვეულებრივ ჩავიდენ ბაღში  
სასეირნოთ. როდესაც უმაწვილები მარტო დარჩენ მარო  
ჭკითხა მმას: აბა, სანდოო, ფერიას რას უპირებ თხო-  
ვნას!

— იცი, მე რა მინდა ვთხოვო — ფრინველის ფრთები,  
რომ შემძლოს ცაში ფრენა.

— რა სულელი ხარ, უთხრა მარომ. — ეგ ხომ მას-  
ხარობა იქნება; ან ტანისამოსის როგორ ჩაიცვამ... მერე  
ხომ საშიშია, მონადირებმა რომ თოფი გესროლონ?

— მაშ ვთხოვ შვენიერ ბადს, როგორც ერთმა ხელ-



მწიფის შვილმა ითხოვა, რომ ამ ბალის ხეებს, ბრილი-ანტის და ზურმუხტის ხილი ესხას.

— რაში გინდა მაგვარი ხილი, ხომ არ იჭმება.

— მაში არ ვიცი, რა ვთხოვო. შენ, მარო? ამოარჩიე კიდეც, რასაც თხოვ?

— მე, იცი, რა მინდა, ვთხოვო. ვაუათ გადამაქციოს. მაშინ მარჯვეთ შევიძლებ ხეებზე ასვლას.

— ეჭ! შენც რა ამოგირჩევია. რა კარგია ვაუობა! სა-დილზე უოველთვის საჭმელებს ქალებს უფრო ადრე მოუ-ტანენ. ისიც ხომ იცი, მამაჩვენი რა ხშირათ ამბობს: ვა-ჟებმა ერთი ათათ მეტი უნდა იშრომონ, ვიღორე ქალებმაო.

— მერე რა?.. მამაც ხომ შეწუხდება, ჰაფარა ქალი რომ არა ჰებავდეს - თქვა თითონვე დაფიქრებით მარომ. რა გვე-ჩქარება, ასარჩევათ დრო გვაქვს. მოვიფიქროთ კარგათ.

იმ ღამეს ემაწვილებს ძილი არ მოსვლათ. მეორე დღესაც დარდიანები, შეფიქრიანებულები იუვნ. სულ ის აზრი აწუხებდათ, თუ რა ვთხოვოთ.

მეორე დღე კვირა იუო, უველანი წირვაზე წავიდენ. წირვას შემდეგ ბიძიამ წაასხა მარო და სანდოო ორ მო-ხუცებულ ქალთან, რომელთაც აეუვანათ თორმეტი ობო-ლი გასაზდელათ. ეს ქალები თითონ დარიბები იუვნ, მაგრამ ღიდი დვთისნიერნი. უაირათობით და გაჭირებით ინახავდენ თავიანთ თავსაც და ამ თორმეტ ობლებ-საც. ემაწვილები სწორეთ სადილობის დროს მიეს-ტრენ ობლებს, რომელნიც ცარიელ მავ-ზურს ღიდი მა-დით შექცეოდენ.

სანდოომ იმათი შავი ზურის გემო ნახა და დაიღმი-ჭა. მარო დააცეკვდა ობლების მონმებს, ნახევარზე ტი-

ტვლები იუვენ და ჩაფიქრდა. მერე ღიმილმა გაურბინა პირისახეზე და უთხრა მმას დაბალი ხმით:

— ახლა კი გიცი, რა საჩუქარსაც ვთხოვ ფერიას.

— რასა?.. ჭკითსა სანდოომ და დამტერდა.

— მერე ბეტშვი.

დაბრუნდენ შინ თუ არა, მარომ მხიარულათ უჩურჩულა დედას ეურმი:

— კიდეც ამოგარჩიე, რაც მინდა, ვთხოვო ფერიას, მაგრამ თქმა კი არ იქნება, რადგან ფერიასაგან აკრძალულია. მერე ვეღარ მოითმინა, გაიხმო სანდოო და საიდუმლოთ უთხრა, რომ ფერიას უნდა ვთხოვოო ასალი ტანისამოსი იმ თორმეტი ობლისათვის, რომელნიც ამათ ნახეს ისე გაჭირვებულნი.

— მერე ფერია განა ისეთი მდიდარია, რომ მაგოდენა საჩუქარი მოგცეს? დედა უოველოვის ამბობს, რომ ემაწვილების ტანისამოსი მაღიან შვირია.

— ფერიები უოველოვის მდიდრები არიან, უთხრა მარომ დარწმუნებით.

— მაშ კარგი, ცოტა სხის ფიქრს შემდეგ თქვა სანდოომ, — მეც ვიცი ახლა, რასაც ვთხოვ ფერიას.

— რასა?

— კარგ, კარგ სადილს, ჰატარა ობლებისთვის!.. თეთრ შურს, კაი წვენს, კაი ქათმებს, კაი შეჭამადს, კაი დვინოს. ერთი სიტყვით, ისეთს, როგორიც ბიძა ჩვენს აქვს.

— მაღიან კაი აზრია, უთხრა მარომ — წამო, დაწვეროთ.

შევიდენ თავიანთ საწოლ ოთახში და მეტდეგი დაწერეს:

## მოწყალეო ფერია!

აი, რა საჩუქარს გთხოვ, რომლის მიღება მაღარან და მაღარა მასიამოვნებს. მე მინდა გთხოვო, აქ რომ თორმეტი ობოლია, იმათვის ახლათ-ახალი ტანისამოსი. ეს თორმეტი ბავშვი დღეს ვნახე, სუჯ ტიტოლები იუვენ. დიდ გულეკეთილობას გამოიჩენთ და მეც შეგიუვარებთ, თუ ამა-სრულებთ ჩემ თხოვნას.

თქვენი ჟარარა შეგობარი მართ

## მოწყალეო ფერია!

მეცა გთხოვ იმათვის კაი სადილს; კაი-წვენს, ქა-თამს, ქადებს, რძის შეჭამადს და ამასთანავე კაი დგი-ნოს.

თქვენი ჟარარა შეგობარი სანდო

P. S. არ დაივიწეოთ, თეთრი ზურიც უბომეთ, რადგან იმათვი ზური საძაგელი იუო. მე თითონ ვნახე გემო.

იმ დამესვე ემაწვილებმა ორივე წერილი ჩადგეს ზა-ტარა ჰაკეტში და საწოლთან დადგეს, მიღის წინეთ. დიდ სანს არ ემინებოდა და-მძას. მოუთმენლათ მოელოდენ ფე-რიას მოსვლას, მაგრამ ბოლოს ჩაემინათ.

მეორე დღეს გაიღვიმეს თუ არა, ნახეს რომ წერილები აღარ იუო თავის ადგილას.

მაშინვე უნდოდათ ეამბოთ დედისთვის, მაგრამ დედაც და ბიძიაც დიღით საღდაც სხვაგან წასულიუვენ.

მოელი დღე ემაწვილები აღელვებული სულ მოლოდინში იუვენ, დღემ კი ჩვეულებრივ გაიარა.

მეორე დღეც გავიდა. ფერიასაგან ჰასუსი ვერა მიღ-ოს რა. ემაწვილები შეწუხედენ.

— რა დიდხანს უნდება, ფერია, დაპირების ასრულებას! ამბობდა მარო.

— იქნება წავიდა. საჟიდლათ, მიუკო სანდრომ.

— სანდროჯან, ფერიას რა ერდვა უნდა. მხოლოთ გაიჭნება ჯოხს და რასაც მოინდომებს უკელა აუსრულება.

— იქნება მაგას არა აქვს მაგნაირი ჯოხი.

— მაშ არ იცი, რომ ფერიებს უკელას აქვთ მაგნაირი ჯოხი? გინდა წავიდეთ, ვნახოთ ფერია კოშკია თუ არა?

სანდრო გაჭიება დას. კოშკის ოთახის კარი დაკეტილი დაუხვდათ. გეღარ ნახეს შორიდანაც ფერია. სანდროს ბულში უხაროდა კიდეც, რადგან შიში არ შორდებოდა. ბოლოს მეგობრები მოუკიდენ ამათ და დღემ მალე გაირბინა.

მესამე დღეც თითქმის გადიოდა, ფერიისა არა ისმოდა რა. ემაწვილები სასოწარევეთილებას მიეცენ და დახეტიალებდენ—მარო კი კოშკისკენ და სანდრო სამზარეულოსკენ. მაგრამ კოშკის ოთახიც და სამზარეულოც დაბრილი იყო.

მამამ შეიბრალა ემაწვილები და წაასხა დროს გასატარებლათ მეზობლებთან. მეზობლის ემაწვილები შინ არ დაუჩვდენ და ისევ მალე დაბრუნდენ სახლში.

მოვიდენ თუ არა, ემაწვილებმა დაინახეს შორიდან ეზოში დიდი მოძრაობა და რა ახლოს მოვიდენ გასატარი რამე ნახეს. თორმეტი ობოლი თავიანთი შემნახველი ქალებით იქ იმუოფებოდენ. უკელა ემაწვილს ახალი ტანისამოსი ეცვა და სისარულით სულ ჰედ იურებოდენ.

ფერიას აესრულებინა მართს თხოვნა და ქმარვილი  
სისარულით ხდარ იყო.

— მე რომ სადილი გნოთვე? წამოიძახა გულნაკლუ-  
ლათ სანდოობ.

ამავე დროს აივნის მინის კარები გაიღო და გამო-  
ჩნდა გაძლილი სუფრა თოთხმეტი სულისთვის. შეაში იდ-  
გა დიდი ჯამი წენით, რომლიდანაც შევნიერი სუ-  
ნის ოშეივარი ამოდიოდა. იქვე იდგა შემწვარი დიდი  
ქათამი, რომელიც ინდოურს არ ჩამოუვარდებოდა. ამას-  
თანავე დიდალი სხვა-და-სხვა საჭმელები, ქადები და ბო-  
თლებით ფეხით ელავა შავიდაზე.

ნუცა და სანდოო თავში და ბოლოში დასვეს, როგორც მასპინძლები.

ობლები გაშტერებული ხარბათ უცქეროდენ ამოდენა  
საჭმელს და არა სჯეროდათ, რომ მათთვის არის დამზა-  
დებული.

— წამოდით, უმაწვილებო, დაგსხდეთ, ნუ გავაციებთ  
საჭმელებს. ფერიას გამოგზავნილია — პატიურებდა ეველას  
მარო და სახლოო.

ემარტვილებმა თავიანთ თეფშებს (საინებს) ქვეშ იძოვეს ფურიას წერილი, რომელიც გახსოვებულიერ ამგვარი კეთილი თხოვნით და ჰპირდებოდა უოველ წლივ საჩუქარს.

ობლები დაძღვენ და მასშინძლებმა თანაც ბევრი გა-  
რანეს.

ლისში და სიამოვნებით პირობა მიცეს ბიძიას, რომ კვლა-  
გაც ეწვევიან ამას.

მაროს იმ დღესვე, ცოტა არ იყოს, ეჭვი შეეპარა: ამ  
სადილის სუფრის ავეჯეულობა მიეგვინებოდა ბიძიას სუ-  
ფრის ავეჯეულობას, საჭმელიც, თითქოს, კატარინეს გა-  
კეთებული იუო, წერილიც— ბიძიას ხელით დაწერილს მი-  
ეგვინებოდა. ბოლოს იმაშიაც ეჭვი აიღო, თუ ფერიები  
მართლა არიან ქვეუანაზე?

დედას გაუზიარა ეს ეჭვი და დედამაც უთხრა:

— შვილო, განა არ იცი, რომ ფერიები მხოლოდ  
ჭდაპრებია. ეგ სულ ბიძა თქვენმა იემაკა: თვალი გადე-  
ვნათ, კოშკში რომ გიუვარდათ შეპარგა, უური დაგიგდოთ.  
კიდეც იმის წეალობით ობლებს ჩააცვით და ასვით-აჭა-  
მეთ.

მარომ გაკვირვებით თვალები დააჭირა.

— მაშ ის მოხუცებული დედაკაცი ვინ იუო, დედი-  
ლო, ჩვენ რომ კოშკი ვნახეთ?

— კატარინეს ბებიაა, საბრალო მოხუცი სულ გა-  
უმარტვილებულა და მთელი დღე მდერის და ჯარას ტუშილ-  
უბრალოთ ატრიალებს. ბაძაშენმა სამადლოთ შემოიუვანა.

— მესმის, მესმის, ერთი მინდა მაგრათ გადავეხიო  
ბიძიას და გაექანა იმისკენ.

სანდროს დაჯერება მნელი იუო, მაშინაც კი, რო-  
დესაც ეგელაფერი აუხსნეს, სულ იმას გაიძახოდა: რა კე-  
თილი უოფილა ფერია, ჩემი თხოვნა აასრულდო.

## ვლეძლვნი ახალ მოსწავლეებს

„სულით და გულია მოძღვნილი  
მცირედიც შეიწირება“.

აკაკი



სწავლე, ყრმაო, რომ სწავლით  
გაიმახვილო გონება,  
რომ მით დაგეჭვას პატივი  
და არა ტანჯვა-გოდება;  
უსწავლელობით არ გერგოს  
პირუტყვის მზგავსათ მონება;  
სწავლა პატრონის ყმა არის,  
ისწავლე დაგემონება.

არ მიჰყე ზარმაცობასა,  
იგი არს ლეთიდან წყეული,  
შრომის მოუკარებ შეჰკრიფა  
სიძიდიღრე ქვეყნათ რჩეული;  
ისწავლე, ყრმაო, ისწავლე,  
მით არ იქნები ეული;  
გახსოვდეს, უსწავლელთათვის  
არს ყველგან გზა-დაბნეული.  
სიყრმით ნაშოვნი სიძიდიღრე  
სიბერის ფამსა ტკბილია;  
ჭირნახულთათვის ბოლოს ფამს  
მცირეც კი დიდი ლხინია.

ბრძენთა ოქვეს: „ნეტავ რა არის  
კარგი ქვეყნისა პირსაო;  
ანუ რა გვარგებს, ოდესაც  
ჩაეცინდეთ გასაჭირსაო“.  
ბევრი ფიქრისა შემდეგ ოქვეს:  
„სწავლა პჯობს ყველაფერსაო;  
მით მოყვარესაც დავხვდებით,  
პასუხსაც გავცემთ მტერსაო“.

სწავლასა უთქამს კვებნითა:  
„ვის ვახლდი, გავაპარეო  
და მის სახელი ქვეყნადა  
მკეიდრათა დავამყარეო“.  
ყრმაო ეცადე, ეცადე,  
შენც იგი შეიყვარეო;  
ეცადე სწავლის წყალობით  
სამშობლო გაახარეო.

დ. ნინოწმინდელი



## ამ ქვეყნიური მწუხარება

გარშენ სიღვასი



ყო ერთი შშეიდი, პატიოსანი და ლამაზი პატარა ქალი. ამ ქალს სახელათ მწუხარება ერქვა. მის მაღალ შუბლს წაბლისფერი ხუჭუჭი თმა გადმოჰქოდა... მუნჯი არ იყო, მაგრამ ლაპარაკი აგრე რიგათ არ უყვარდა: პაწია ტუჩიბი თითქმის შუდამ მოკუმული ჰქონდა. მისი დიღრონი, ეშხიანი თვალები ისეთი ნალელიანათ გამოიყურებოდენ, რომ ერთი მათი დანახვა სევდით და ვარამით აესებდა აღამიანის გულსა. საცოდავ ბავშვს არა ჰქონდა თავის საკუთარი სამშობლო; ამის გამო ის განუწყვეტლივ უვლიდა გარშემო მთლათ დედა-მიწის ზურგსა. ვერ დაასახელებდით იმისთანა ქვეყანას, სადაც კი ის არა ყოფილი-ყვეს... ამიტომაც მას კარგათ იცნობდა თითქმის მთელი კაცობრიობა. იგი იყო ხშირი სტუმარი როგორც ღარიბ-ღატაკი ხალხისა, ისე დიდი ბობოლა მდიდარი ბატონებასა; როგორც საცოდავ ქოხმახში, ისე ძეირფასი თვლებით მოჭედილ სასახლეში ის თავისუფლათ შედი-გამოდიოდა.

მისი მარად დალონებული სახე, მისი შშეიდი, წყნარი ხასიათი ყველას გულში თანაგრძნობას ჰქონდებდენ; ამიტომაც დიდი სიამოვნებით ეგებებოდენ ყველგან, სადაც კი ის მოისურვებდა მისელას. მაგრამ, ვაი იმ მისელას! ჩეენში ხშირათ იტყვიან ხოლმე: ამა და ამ კაცს ცუდი ფეხი აქცა, მისი მოსვლა, ან შეხვედრა ცუდათ მა-ქეს დაცდილიო: არა მგონია, რომ მთლათ დედა-მიწის ზურგზე ისე-თი ცუდი ფეხი ჰქონდეს ვისმე, როგორიც ამ თავმდაბალ უცატრონო ობოლსა! თითქმის ყოველს მის ნაბიჯს რაიმე უბედურება მი-დევდა, და ვაი იმ ოჯახს, რომელშიაც კი ის გადადგამდა ამ ნა-ბიჯს!.. ზოგს უეცრათ ხელიდან ეცლებოდა ერთათ-ერთი შეილი! ზოგი ჰყარგავდა ქონებასა და სახელსა, ზოგსაც უცნაური ბოროტი

მტერი მოულოდნელათ რაიმე ხიფათს ანთხვევდა. ხანდისხან მთელი ოჯახი მიწასთანა სწორდებოდა სსეა-და-სსვა სნეულებათა და უბეჭურ შემთხვევათაგან!.. უველას უკვირდა ეს ამბები და არ იცოდენ როგორ და საიდან აჟყდებოდათ თავზე ეს ამოდენა ტანჯვა-მწუხარებანი. ვერცერთი მათგანი ვერ მიხვედრილიყო, რომ მიზეზი ყოველივე ამისა იყო ის, რომელსაც ისეთი სიხარულით ულებდენ კარს და სიამოვნებით შეჰქავდათ თავიანთ ოჯახში. საცოდავი ქალი ხანდისხან მოისურვებდა ხოლმე ხელახლათ იმ ოჯახების ნახვას რომლებშიაც სიამოვნებით გაეტარებინა ღრო... და გულჩათუთქული ხედავდა რაოდენი წეა-და -დაგვა დატრიალებულიყო მათში მისი წყალობით. ზოგიერთ დაზარალებულ ოჯახს ის თითქო შეიბრა-ლებდა ხოლმე: ხელმეორეთ მის ნახვას ერიდებოდა, მაგრამ იყვენ იმისთანა ადამიანებიც, რომელთაც იგი სულით და გულით შეიყვა-რებდა: ხშირათ დადიოდა ამათთან და ახალ-ახალი უბედურებანი მი-ჰქონდა თან.

თავზარ დაცემულ ოჯახს დაუსრულებელ ტანჯვა-ვაებათაგან სული ეცუთებოდა და ნელნელა ჰქონებოდა, მიწასთან სწორდებოდა იგი. მაშინ პაწია ქალი ანებებდა ამ ადგილს თავს და მდუღარე ცრემლის ფრქვევით მიდიოდა ახლა სხვა ადგილებისაკენ; მიდიოდა ის ნელ-ნელა, დინჯათ, მაგრამ ისეთნაირათ კი, რომ ვერც ერთი მთის ნაკადული და ვერც გაცოფებული ქარიშხალი ვერ მიჰყებო-დენ მას... მიდიოდა და თანაც არ დატოვებდა უნახავათ არც ერთ სახლს, რომელსაც კი თვალს მოჰკრავდა გზაზედ. უველაზე უფრო შემაძრწუნებელი ამბავი მაშინ ხდებოდა, როდესაც ის ბავშებს შე-მოეყრებოდა ხოლმე წინ. იმავე წაშის საცოდავ ყმაწვილებს მკვდრის ფერი ედებოდათ სახეზე და გული გამოუთქმელი მწუხარებით ევ-სებოდათ. ზოგი მათგანი მაშინვე მახინჯდებოდა, ზოგს დედ-მამა ეხოცებოდა და ულუქმაპუროთ, უნუგეშოთ ჩემბოდა ქვეყნიერება-ზე. როცა ამ გვარ საშინელებას ხედავდა, პაწია ქალის მწუხარებას საზღვარი ეკარგებოდა: გულმოსაკლავათ ქითინებდა და გამწარებუ-ლათ თავში ხელებს იცემდა. ამას შემდეგ ფეხს აუჩქარებდა, სხვა მხრისკენ გაემართებოდა და ცდილობდა, რომ ბავშებს ალარსად არ შემოხვედროდა.

—  
ერთ შეენიერ დღეს იგი იჯდა ვაშლ ქვეშ და ტკბებოდა მისი წითლათ დაბრაწული ნაკოფების კექრით. გულზე დარდი ცო-

ტათი მოშვებოდა და ფერ-მურთალ სახეზე თითქო ღიმილი უთამა შებდა.

— ოკ, ძეირფისო გაშლო, წამზიძეა მწუხარებამ, გადმოეც  
ჩემს ლოცვებს ცოტაოდენი სინათლე შენი შენიერი ნაყოფებისა:  
მაშინ სუყველას შევუყვარდები და სიამოვნებით დამიწყებენ აქე-  
რას.

— ვერა, ჩემო კარვო, ვერ გადმოგცემ, — უპასუხა ვაშლის ხემ,  
— შენს ლოვებს რომ ვარდის ფერი დაცემდეს, მაშინ ეხლანდელი  
თანაგრძნობით და ალექსათ როდელა ვიწმე მოგეცებებოდა!

მწარეთ დალონდა პაწია ქალი; ადგა და თვალურემლიანი მო-  
შორდა გაშლის ხეს. მის წინ გამოჩენდა საუკროვეო რამ წალკოტი.  
შევიდა ამ ბაღში და დაინახა მრავალი მგალობელი ფრინველები,  
რომელნიც მარდიათ დაფიქრიალობდენ უზარმაზარ ხეების ტოტებ  
შუა და სასიამოვნო ჭიკჭიკ-გალობით მხიარულებასა ჰფენდენ მოელ  
იმ არე-მარეს. საწყალი ბავშის დაწყლულებულმა გულმაც იგრძნო  
სიამოვნება და მაღალი ხმით შეძახა ცერიალა მგალობლებს:

— ამ, ძეირფასო, დახატულო ჩიორაებო! მომეცით თქვენი ნაზი ხმა, მასწავლეთ თქვენი შევნიერი გალობა, რომ მით სხვის გამხიარულება მეც შევიძლო და სხვების ბეღნიერებით მეც დავიტყბო ჩემი გამწარებული სიცოცხლე.

— არა, ჩევნო საყვარელო არ შეგვიძლია შენი თხოვნის  
ასრულება! შენ რომ ევრე ჩუმათ და მშეიღათ არ დადიოდე ქვე-  
ყნიერებაზე, მაშინ ადამიანები დაშარებით უფრო მეტაც იქნებიან  
შეწვან შეწუხებულნი: შენს ახლანდელ უჩინარ მოქმედებას, მაშინ  
შენი ხმაურობაც დაემატებოდა; ყოველი უბედური უფრო აღრე შე-  
იტყობდა თავის მწუხარებას და უფრო ცვიან დარიუჩუებდა მას...

მწუხარებამ მწარეთ ამოიკვნესა, წამოდგა ფეხზე და გაუ-  
დგა თავის გზას. ცოტა ხანს უკან მან დაინახა დიდი დაბურული  
ტყე და ფეხ-აჩქარებით გასწია იქით. უზარმაზარ ტყეში იღება სრუ-  
ლი მყუდროება და სიჩუმე; მხოლოთ გრილი ნიავი წყნარათ, ჩუ-  
მათ დასისინებდა ბუჩქებსა და ბალახებში, და ათასგვარათ შეზავე-  
ბულ წმინდა ჰაერს ნაზათ არხევდა. როცა მწუხარება ამ ტყეში შე-  
ვიდა, მისმა გულმა ხელახლათ იწყო სიამოვნებით ცემა. დალლილ-  
დაქანცული ბავში ერთ დიდ მუხასოან მიეიღდა, ზედ მიეყუდა და  
წარმოთქვა:

— აქ კი, ვეონებ, ნება მაქვს, რომ ლაზათიანათ დაეისევნო! —

მადლობა უფალს, ენებას და შწუხარებას აქ ვერაეის მოუტან! უცებ მზის ნათელი სხივი ჩამოეშვა მაღლიდან. დაბურულ მწვანე ფოთლებში ჩამოიცქრიალა და ნაზათ იწყო ციმციში ახაერდებულ მწვანე ბალახზე. იმავე წავს ირგვლივ მოეფინა გამაცოცხლებელი სითბო-სინათლე, რომლის მადლმა პატარა ქალის დასევდიანებულ გულსაც მიაყენა თავისი შუქი, გაათბო და გააცოცხლა იგი. მთელი მისი არსება თითქო სრულიად გამოიცვალა. სახე გაუბრწყინდა, იგი მოწყვეტილ ვარსკვლავს დაემსგავსა.

— ოჳ, ძეირფასო, დაუფასებელო ტყე! მაჩუქე ერთი იმ სხივთაგანი, რომელნც ასე უხვათ მოგვფენიან ყოველის მხრიდან. მაჩუქე, შენ თავს შემოგველოს ჩემი გამწარებული სიცოცხლე!

მწვანე ტყემ თითქო სული განაბა: ირგვლივ ჩამოვარდა სამარისებრი სიჩუმე. მაღალმა ხეებმა მღუმარებით გადახედეს ერთმანეთს და ნალელიანათ გადაიქნ-გადმოიქნიეს თავიანთ კინწიროები... მზის ნათელ სხივსაც რაღაც დაემართა: ფოთლიდან ფოთულზე გაისრიალა და უცებ გაპქრა სადღაცა!

— ნუ, ნუ ითხოვ მაგას, ჩემო საწყალო, საბრალო ბავშო! დაიძახა ასწლოვანმა ბებერმა მუხამ,— შენ ვერ დაინახე, რა შევნიერი რამ იყავი წელან! მზის სხივის ერთმა მცირეოდენმა მიკარებამ ციურ ანგელოზათ გადაგაქცია... სულ რომ ისეთი იყვე, ხომ გააგიფებ ყოველ მნახველს! მთელი კაცობრიობა შენ დაგედევნება უკანა და შენს ცეკრა-თაყვანებაში ამოირთმევს სულს. აბა, დაფიქრდა, შეილო, რაოდენ უბედურობას, გლოვასა და ვაებას დაატრიალებ მაშინ მთლათ დედა-მიწის ზურგზედ! შენ მწუხარება ხარ და, არც ერთი სხივი მზისა არ უნდა მოეკაროს შენს შავ-ბეჭელ დღეებს.

პატარა ქალს გულში ლახვარიერ მოხედენ ეს სიტყვები: სევ-დით მოცული დიდი თვალები ცრემლებით აევსო და ლამაზი თავი მწუხარებით დაპკიდა ძირს. პატარა ხანს უკან გამოვიდა ტყიდან და ხელახლათ დაადგა თავის დაუსრულებულ გზას.

რამდენსამე დღეს შემდეკ ამ გზაზ ის მაიკვანა ერთ ტბასთან: ამ დროს შუალამე მოტანებული იქნებოდა. ტბის გარეშემო ყოველივე ლრმა ძილში იყო წასული... არსაიდან არ მოისმოდა არავითარი ხმაურობა; სიცოცხლის ძარღვების ცემა თითქო სრულიად გამქრალიყო აქ. ბურთი და მოედანი მთელი ამ მიღამოსი მარ-

ლოთ ღამის წყვდიაღს დაოჩენიდა: შევ ჩადრში გამოხვეული ის ფეხ-აკრეფით და უგზუ-უკვლოთ დახეტიალობდა ტბის გარშემო. ვარსკვლავები თავიაწო ლაქვარდი ბინიდან თითქო ამ ტბაში გადმოსახლებულიყვენ და ანკარა წყლის ტალღებ შორის მოსვენებას მიცემოდენ.

მწუხარებამ ხელი ჩაჲყო წყალში და სველი ხელით გხურებული შუბლი გაიგრილა. ღამემ გვერდზე გამოუარა და დაბალი ხმით უთხრა: „დარღი და ნაღველი გულიდან მოიშორე, შევ ფიქრებსა და აზრებს ზურგ შეაქციე, მერე წამოწექ მხარ-თეძოზე და მოსვენებით დაძინე“ .. ბაეშმა შეხედა მას და ნაღვლიანათ ამოიოხრა:

— მოისვენეო!.. განა მოსვენება ჩემისთანა უბედურისთვის არის გაჩენილი? ერთხელ, მთელს ჩემს სიცოცხლეში მხოლოთ ერთხელ ვიგრძენი სიცებოება მოსვენებისა.. ოვ, ბრწყინვალე მზის ნათელო სხივო! შენ გაათბე ერთხელ ჩემი გული, შენ მომისპე ერთწამს ყოველი სევდა-ვარამი... დალოცოს უფალმა შენი მადლი!!.

უცებ მთელ ტბას მოეუინა ვარდის ფერი ბწყინვალე ნათელი. გაოცებულმა მწუხარებამ აიღო თავი მაღლა და ცხადათ გაარჩია, რომ ეს საკვირველი ნათელი გამოდიოდა ერთი შვენიერი დიდი სასახლიდან, რომელიც მთლათ ერთნაირათ გახვეული იყო სუროსა და ფათალოს მწვანე ფოთლებში.

— საკვირველია, გაიფიქრა პაწია ქალმა,— თითქო მე ამ ადგილებში არსად არა ვყოფილვარ, და რა უნდა იყვეს მიზეზი, რომ აქ ვიღასაც ძილი და მოსვენება დაკარგვია? მან ნელნელა გასწია სახლისკენ, ჩუმათ მიუახლოვდა ერთ ფანჯარას და ფთხილათ შეიხედა შიგ.. ღმერთო ჩემო, რა დაინახეს შიგნით მისმა თვალებმა? მაგიდასთან იჯდა ახალგაზდა მანდილოსანი, რომლის სიცურფე-სიკელუცეს ვერც კალამი აწერს და ვერც ენა გამოთქვამს! მას წინ ედო გაშლილი დიდი, ვეებერთელა რეეული და თავის ბროლის თითებით დაფიქრებითა წერდა ამ რეეულის ფურცლებზე სახე მისი ცხადათ აჩვენებდა, რომ იყი იყო სიბრძნითა და პატიოსნებით შემკობილი ადამიანი. მწუხარება გაშტერებული იდგა და თვალს ველარ აშორებდა ამ საუცხოვო სანახაესა. უცებ მანდილოსანმა თავისი შვენიერი სახე მოიბრუნა და პირდაპირ შეაცქერდა პატარა ქალსა.

— რატომ არ შემოხვეალ, ჩემო კარგო,— რათ დგენარ მანდა?

მწუხარება შევიდა მის ოთახში. მანდილოსანი მოეგება წინ, დედა-შვილურათ ჩაიკრა გულში და ტკბილათ უთხრა:

— დიდი ხანია მოველი, შვილო! მე ვარ დედა ყოველი აღა-მიანისა, სახელათ მეცნიერება მქვია... მინდოდა შენი ნახვა, მა-გრამ დაუპატიჟებლივ მე არავისთან არ დავდოვარ. ვცხოვრობ აი, ამ სახლში; ტბის ტალღები მეუბნებიან ყველაფერს, რაც კი დედამი-წაზე ხდება; მე ვუკვირდები ყველა ამ გაღმონაცემს, ვიკვლევ მათ შინაარს, მათ მიზეზებს და შემდევ ვასწავლი ხალხს, თუ რა შედე-გები მოდევენ მათ. ხშირათ მესმის ხოლმე ძალილი გაჭირვებულ აღა-მიანისა და ხშირათაც მიედინარ მათთან დასახმარებლათ, თუმცა კი საუბედუროთ, ჯერ კიდევ არა მაქვს იმოდენა ძალა, რომ ყოველ შეწუხებულს ხმა მივცე, ყოველ მტირალს ცრემლი მოეწმინდო. მა-გრამ ფიქრი არ არის! მალე დადგება ის ღროც, როდესაც ჩემს ძა-ლას და ღონეს საჩლვარი აღარ ექნება!.. მწუხარება აენთო სიხა-რულით; დიდებულ მანდილოსანს თავი კალთაში ჩაუდვა და ვეღ-რებით უთხრა:

— ოჲ, ჩემო ტკბილო დედავ!.. შენი სახელის ჭირიმე, ნუღარ დამტოვებ მარტოკას! წამოდი ჩემთან, ორივემ ერთათ ვიცხოვროთ!

— არა, ჩემო თვალის ჩინო, უთხრა ამაზე დედა-მეცნიერე-ბამ,— ამ ქამათ არ შემიძლია შენი თხოვნის ასრულება! ბევრი, ძალიან ბევრი საქმე მაწევს კისერზე, უნდა ამ საქმეებს მოუსრო და გავათავო, აი, ამ დიდი რევულის წერაცა. ეს არის წიგნი ცხოვრე-ბისა. ვერ გამოგყვები, მაგრამ იცოდე კი, რომ ჩემი სახლის კარი მუდამ ღია იქნება შენთვის. ხშირათ იარე ჩემთან; მითხარ ყველა-ფერი, რაც გინდოდეს და იყავ დარწმუნებული, რომ არაფერს არ დავიშურებ შენთვის.

მწუხარებამ მთელი ის ღამე დედა-მეცნიერებასთან გაატარა. მეორე დღეს მეტათ კაი გუნებაზე ადგა. მხიარულათ გამოეთხოვა ძეირთას მასპინძელს და კვალათ იწყო თავისი ჩევულებრივი მო-გზაურობა. ახლა ქვეცნიერებაც სრულებ სხვანაირათ ეჩერნა ჩენს საბრალო მოგზაურსა: მთელი დედა-მიწა ათას ფერათ ჰყაოდა და მორთული პატარძალიერით კეკლუცათ გამოიყურებოდა. დადგა დრო მკისა. შემოსულ, საესე თავ-თავებან ყანაში იდგა მოხდენილი, ჯა-ნითა და ღონით საესე ჭაბუკი, რომელიც მხიარულ „ჰოპუნას“ ძა-ხილით მკიდა. თათო მისი ხელეური სხვების თითო ძნას უდრიდა.

— გამარჯვება, გამარჯვება შენ, საწყალო პატარა ქალო!.. მო-  
ლი აქ ჩემთან, მიშეელე მუშაობა... მერე ნამგალი წელში გაირჭო  
და მხიარული ლიმილით მიეგება მისკენ მიმაგალ მწუხარებას.

— ნეტა რათ ხარ დალონებული?.. რა გქვიან სახელათ, ჩემი  
კარგო?

— მე მწუხარებას მექანიან! შენ ვინდა ხარ?

— მე? განა ვერ ხედავ ჩემ განიერ მკერლსა? განა ვერ ამჩნევ  
ჩემ ჯანსა და ლონეს?.. მე, ჩემო დობილო, შრომა ვარ, შრომა! წარმოთქვა თუ არა უკანასკნელი სიტყვა, იგი მიუახლოვდა მწერა-  
რებას, დასტაცა ხელი, ბუმბულიერ მაღლა აიტაცა და მხიარუ-  
ლათ იწყო სიმღერა და თამაში. პაწია ქალს ლოყები წითლათ და-  
ებრაწა და ლიმილით უთხრა შრომას:

— წამოდი ჩემთან! როცა მარტო ვარ, მცირეოდენი საქმეც კი  
საშინლათ მღალავს! ამასთანავე მუდამ რაღაც მოუსვენრობასა  
გრძნობს ჩემი გული! შენთან კი სულ სხვა იქნება.

— არა, ჩემო დობილო, ეგ არ შემიძლია! მე დღისით ემუ-  
შაობ, ღამე კი ყოველთვის ვიძინებ ხოლმე, რომ დავისცენო და  
მეორე დღისთვის ძალა და ღონებ ხელ-ახლათ შევიკრითვ. ამასთა-  
ნავე მე მხიარულება ძლიერ მიყვარს, შენ კი აგრეთი დაღონებუ-  
ლი ხარ! აამდენიმე დღე რომ ზედი-ზედ გიცქირო, მეც გული და-  
მისევდიანდება, მხიარულება გვიცერება. მაგრამ თუ დაგჭირდე რის-  
თვისმე, დამიძახე და იკოდე, რომ იმავე წამს შენთან დაეიძალები.

მწუხარება ვამოეთხოვა შრომას და ისევ-და-ისევ დაადგა თა-  
ვის დაუსრულებელ გზას. წინანდულათ უკლიდა გარშემო მთელ  
ქვეყნას, მაგრამ დედა-მეცნიერებას და ძმობილ-შრომასაც არ ივი-  
წყებდა; ხშირათ ეწვეოდა ხოლმე ამათ და ესენიც წმინდათ ასრუ-  
ლებდენ თავიანთ დაპირების: სულით და გულით შეელოდენ უკე-  
ლაფერში და არ აკლებდენ თავიანთ მფარველობას. ხშირათ ისხდენ  
ხოლმე ესენი მეცნიერების სახლში, ერთათ კითხულობდენ ცხოვ-  
რების დიდ წიგნს და ბასობდენ მასზე, თუ რა უნდა გაეკეთები-  
ნათ კიდევ გასაბეღნიერებლათ ქვეყნისა; მოსასპობათ იმ ათასნაირ  
გაჭირებათა, მწუხარებათა, სნეულებათა, ტანჯვა-ვაებათა, რომელ-  
ნიც ყოველი მხრიდან შემოხვევებან დღვევანდველ კაცობრიობას და  
მწარეთ სულს უხუთევენ მას...

## ვალავნები

## I



ალიან მეგებარია გინმე იუო ჰატარია გოგლი. ვინ იცის, კვეხნა თავის დღეში აზრათაც არ მოსვლიყო, რომ თავის დედისაგან არა სმენოდა მუდა დღე, მუდამ საათს:

„უჟ რა გმირია ჩემი შვილი, ენაცვალოს დედა, რა ღონიერია, შეხედეთ ამის ტატების (უჩვენებდა იმის მსუბან დარგვალებულ სელ-ფეხს) გოლიათს არა ჭიათ! შემოვლოს დედის მუმუები თავის ტკბილსა. ვინ გაუძლებს ჩემს ფალავანს, ჩემს რკინის კვნეტელა დევ-გმირსაო!“

გოგლიამც წარმოიდგინა თავის თავი გმირათ. ეგონა დედაჩემის სიტევები — ჭეშმარიტია, მართლა ჩემი მომრევი აღარავინ იქნებაო.

თვითონ სიარულშიაც შეამჩნევდით, რომ თავის ღონეს გახვენებდათ. რაც მალი და ღონე ჭიონდა გადაბლა-ჯებდა ხოლმე, რომ მნახველს ეთქვა: „აბა, უუურეთ, როგორ შორს აბიჯებს, რა ბიჭია გოგლიაო!“

ხანდახან ისე გადიჩაჩებოდა ხოლმე, რომ მეორე ჯეხს გეღარ გადიტანდა და იქვე ჩაქოქებოდა.

— ურ, ქა, გენაცვალე! — გამოქანდებოდა შეშინებული დედა — ლაჯებში არ გაიუარო! ააუენებდა გოგლიას და წამოიუქანდა.

ამით არ გათავდებოდა იმისი სიგმირე.

ბალიშვილი დაწოლილ კატას დაავლებდა ხელს და მიარბენებდა დედისკენ.

— უულე, დედა, უულე! ვითომ ნახე, რა ბუმბულივით აფიტაცია!

— ჟო, გენაცვალოს დედა. შვილო, რო გეუბნები, დევი მეუკარ! და ჩაიკრავდა გულში გამარჯვებულ შვილს, რომელიც თავმომწონეთ გადმოხედავდა დამარცხებულ კატას.

წალას ინოვნიდა ტახტ ქვეშ, თუ ლიტრის სავიდასთან კადადგმული, მოათრევდა დედისკენ, — აბა, რა დონი ერა ვარო. საწელ მამალს იმისგან არ ჰქონდა მოსვენება: საუკისრები სულ დააგლიჯა, ზოგი ახლაც ქუდის სანაპიროში ერჭო.

მიეპარებოდა ხოლმე გაბერილს მამალ ინდოურს და, როცა ბოლო გამლილი დაშვებულ მხრებს მიწაზე მიაფხსენებდა, გოგლია ბოლოში წაეტანებოდა დასაჭერათ.

მაშინ უნდა გენახათ იმის სიცილი, როცა ინდოურს უკან-უკან მოათრევდა ბოლოთი და ფეხით მიწას მოაკაწვრინებდა.

ისეთი სარხარებდა ხოლმე, ისეთი, ისეთი, რომ...

მაგრამ ეს ინდოურთან ბრძოლა ხშირათ ტირილით გათავდებოდა ხოლმე, თუ მარჯვეთ ვერ შეხვდებოდა გოგლია, განზე არ ექნებოდა ფეხები გადგმული, გამფოხალი ინდოური გაიწევდა ხოლმე და გოგლიც პირქვე წამოუნჭალოვდებოდა, (წამოუირავდებოდა), წაჟარავდა ცხვირს.

მაშინ უნდა გენახათ თვალცრემლიანი, ცხვირ-გასიე-

ბული, დაშვერილი უიუკით ბლრიალით გასწევდა ხოლმე  
ტუსტუსით დედისკენ.

— ვინა სცემა ჩემ შეიღებ? ვინა პცემა ჩემი, შეენიჭო?  
მითხარ კენაცვალე? დაიცადე ინდოურო, შენ თუ შეგარ-  
ჩინოს თავის გაბიაბრუება, ჭიასავ მაგ ჩინჩლოზე გეზი-  
დებოდეს.

## II

მალიან გაითქვა გოგლიას გმირობა. სადაც კი გა-  
ვლიდით, სულ იმის გმირობის ამბავი ისმოდა. მოლე-  
ქსებს ლექსიც კი გამოეთქვათ, აი, ის ლექსიც:

ამირანივით გაითქვა

მთელ დუნიაზე გოგლია,  
არწივს მთით ჩამოფრენილსა  
მხოლოთ ფრთეები აკლია;  
ეს ქათამ-ინდოურები  
სუ ჰარკებივით ხორია.

ქათმები წუხდენ: ლამის ჩექნს მამალს უივილი დაავი-  
წედეს, მაგის შიშით, ბაიათი ვეღარ აუწევითო.

— ჩენი მამა—მამალი ვეღარ იფხორება, გოგლიძ  
ფოე-ბოლო გააგლიჯათ, კივეივებდენ ინდოურები.

— ერთს ადგალზე აღარ მასვენებსო, ჩიოდა წალა,  
ჭიანჭველის გუდასავით დამათრევსო. აღარ ვიცი სად მო-  
გაფარო თავით.

მხოლოთ ერთს ოჯახს არ ეშინოდა გოგლიასი. აი-  
ნუნმიაც არ მოუდიოდათ იმის ტრაბახი და ბაქი-ბუქი.

— ეს იუ უურმას თხხი ჰატარა ლემგი.

ამათი გოდორი კუთხეში ეკიდა და თითქმის მთელი დღე და დამე გოდორში ჩაგებულ ჩალაზე იწვენ. გო-  
გლიას ერთხელაც არ მოსვლია ფიქრათ იმათი დახედვა.

სანამ ჰატარები იუვენ, ლეკვებისა მხოლოთ კენესა და  
წევწევი ესმოდა ხოლმე, ახლა კი, როცა მოიზარდენ,  
გოგლის ბრახა-ბრუხზე ამოცვივდებოდენ ხოლმე გოდო-  
დან და გააბამდენ უფას.

დიდხანს ითმინეს იმათ გოგლიას კვეჩნა-ტრაბახი.

— ერთი გადუხტეთ მაგ გოგრას და სულ კუდით  
